



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„გურიის რეგიონის მუნიციპალური განვითარება“



სამართლებლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიული ასოციაციის მხარდაჭერით გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სოციალური პროექტი „გურიის რეგიონის მუნიციპალური განვითარება“ პროექტის ფარგლებში ბრიგოლეთში ოჯახების, ჩოხატაურის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების პროექტი განხორციელდა.

სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი გოჩა შანიძე, ევროსაბჭოს წარმომადგენელი პოლ ჰილდრესი, ნორვეგიის თვითმმართველობათა ასოციაციის ბიორნ რანგევაარი, საქართველოს თვითმმართველობათა ასოციაციის დავით მელუა წარმომადგენელი. ევროსაბჭოს ექსპერტებმა მაღალი შეფასება მისცეს სამუშაო ვაკუუმების მიერ წარმოდგენილ გეგმებს, მათი თქმით, გეგმა უნდა გახდეს ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მიიღება ეკონომიკური გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტებში. სამუშაო ვაკუუმებთან და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად გეგმების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხედვასა და კონკრეტულ პროექტებზე ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოთა თავმჯდომარეებმა ისაუბრეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავმჯდომარე, ალექო მამეშვილმა ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საქმიანობის კოორდინირების გზით გეგმის განხორციელების ეფექტურობაზე. მალე მხარის საკრებულოთა მიერ დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების საფუძველზე, დაიწყება რეგიონის სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა. პროექტის დამფინანსებელია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო ახორციელებენ ნორვეგიის ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ასოციაცია, ევროპის საბჭო და საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

საზოგადოებრივი დარბაზის მორიგ სხდომაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საზოგადოებრივი დარბაზის მორიგი სხდომა გაიმართა. მთავარი თემა, რომლის შესახებაც დარბაზის წევრებმა იმსჯელეს, სოფლის განვითარების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრები გახლდათ. საკრებულოს თავმჯდომარემ დარბაზის შეხვედრების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მოსახლეობის აქტიური ჩართულობის შედეგად დასახლებული პოპულაციები გააცნო. ამ ჩამონათვალითა ნუსხაში იმ კვლევის შედეგებიცაა ასახული, რომლებიც დარბაზის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების

მიერ, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განხორციელდა. მოსახლეობასთან შეხვედრის მთავარი მიზანი, სოფლისათვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გამოკვეთაა. თითოეულმა მცხოვრებელმა უნდა იცოდეს, თუ რაში იხარჯება მათი სოფლისთვის გამოყოფილი თანხა და ეს პროცესი მიმდინარეობს მაქსიმალურად გამჭვირვალედ. დაგეგმილია შეხვედრები ქალაქის სხვადასხვა უბანში - განაცხადა ალექო მამეშვილმა. **ოჯახების მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან, მშენებლისა და სამართლებრივი ურთიერთობის განვითარება**

„მე მიყვარს იაკონია!“


მიწისძვრამ, ცუნამიმ და აქედან გამომდინარე ატომური რეაქტორების ავარიებმა დიდი ზიანი მიაყენა იაკონიის სახელმწიფოს. მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება მატერიალურად თუ მორალურად გვერდით დაუდგა იაკონელ ხალხს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და სამხატვრო სკოლის ერთობლივი ძალებით ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ ჩატარდა ერთობლივი აქცია სახელწოდებით „მე მიყვარს იაკონია!“ აქციაში მონაწილე სამხატვრო სკოლის 18 მოსწავლემ საზოგადოებას წარუდგინეს თავიანთი ნახატები, რომლის თემა



იაკონიის მიწისძვრა და იაკონელი ხალხის თანაგრძობა იყო.

„მოგიწოდებთ, ხალხთან ერთად გაღვწვივით პრობლემას!“

ასე მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილმა 31 მარტს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე შეკრებილ დეპუტატებს, „სოფლის განვითარების ფარგლებში“ გამართული შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გაცნობისას. მისი თქმით, შეხვედრები ორგანიზებულად ჩატარდა, თითოეული შეხვედრის შესახებ მომზადდება შესაბამისი ოქმი და მომზადდება პროექტები. სხდომამ ამ ინფორმაციის გარდა კიდევ ორი საკითხი განიხილა. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთის შემოღების თაობაზე“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ და კერძო სამართლის თურთმმართველობის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.“ არასასოფლო-სამეურნეო მიწების გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა საკრებულოს დეპუტატმა



გია სუჭუამ, რომელმაც შემდეგ დარბაზიც დატოვა. რაც შეეხება ფიზიკური და კერძო სამართლის თურთმმართველობის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის პეტრე სალუქვაძის ანგარიშს, ამ კომისიას შექმნიდან (2010 წლის 4 აგვისტო), 76 განცხადება მიუღია, განუხილავთ 28 საქმე, საიდანაც დაკმაყოფილებული იქნა მხოლოდ 6 დაინტერესებული პირის განცხადება. სამს პირმა სასამართლოს მიმართა.

„ხელისუფლება ვალდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ფერმერული თუ გლეხური მეურნეობების განვითარებას“

ინეო ნიკოლაიშვილი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ერთ-ერთ საკითხზე, მიწის გადასახადის გაზრდასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა „თავისუფალი დემოკრატების“ გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ. მისი თქმით, ისედაც მცირემიწიან რეგიონში არ შეიძლება იყოს დაუმუშავებელი ასეთი დიდი რაოდენობის მიწის ნაკვეთები, თუმცა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ხელისუ-

ფლებამ ადმინისტრირების მექანიზმების გამოყენების ნაცვლად უნდა შეუწყოს ხელი ფერმერული და გლეხური მეურნეობების განვითარებას. „სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩვენი პოლიტიკური გარემოსათვის. ყოველივე ეს კარგად არის ასახული ჩვენს მიერ შემუშავებულ სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციაში. ჩვენ ვთანხმდებით იმ მოსაზრებას, რომ მაქსიმალურად მოხდეს დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთების ათვისება და მიწა უნდა ეკუთვნოდეს მათ, ვინც მას ამუშავებს და ქმნის დოღათს, მაგრამ, როცა საუბარია მიწის გადასახადის გაზრდაზე, ხელისუფლებამ ადმინისტრირების მექანიზმები კი არ უნდა გამოიყენოს, პირველ რიგში, ის ვალდებულია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ფერმერული, თუ გლეხური მეურნეობების განვითარებას, რაც გამოისატება იაფი და გრძელვადიანი კრედიტებისა და სოფლის მეურნეობისათვის სხვა მხარდასაჭერი პროექტების განხორციელებით. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს ჩვენს მესაკუთრებს, შესძლონ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაუმუშავება.“

გას სოვდეთ 1937!

ამ რუბრიკის ქვეშ გაზეთი „ალიონი“ აგრძელებს 1937 წლის რეპრესიების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას. დღევანდელ ნომერში იხილავთ თუ როგორ ატყვევებდნენ კოლმეურნეები კრებებზე თანასოფლელებს, რატომ დაიწუნა ბათუმის რაი-ლიტმა ა. აფინოგენოვის პიესის „მგლის ბილიკის“ დადგმა ოზურგეთის თეატრის სცენაზე... **გვ-3**

დეკანილი ტრიუმფატორი

31 მარტს ზვიალ გამსახურდია 72 წლის გაცხადდა

90-იან წლებში, როცა სამოქალაქო დაპირისპირებამ შთანთქა ეროვნული მონაპოვარი, ბევრმა თანამოაზრემ ეკლესიას მივაშურეთ, რომ როგორც გადავრჩენილიყავით...

ოზურგეთში, წმინდა ალაგად მაშინ შემოქმედის ტადარი ავირჩიეთ. იქ წირავდა ცველასთვის საყვარელი მამა ბასილი, (ახლა უკვე არქიმანდრიტი იოანე) ყოველი წლის 31 მარტს, ვთხოვდი ზვიადის სული მივსესენიებო მრევლის წინაშე. ისიც უდიდესი სითბოთი იგონებდა მას.



მოხდა ისე, რომ, მთაწმინდაზე აყვანილს სწორედ მან გადაუხადა პანაშვიდი, როგორც მამადავითის წინამძღვარმა.

მახსოვს, მაშინ სულიერი ძმები მეუბნებოდნენ: აქ, შემოქმედში ცხოვრობს ქალი, ვის ხელშიც კოლხურ კოშკშიც დაბადებულა პირველი პრეზიდენტი. მოგესვენებათ, მაშინ სქესის წინასწარი დადგენა არ ხდებოდა. დიდ კონსტანტინეს უზომოდ გახარებია ვაჟის დაბადება, ბებია ქალისთვის დიდი პატივისცემით და წარწერით „ვაზის ყვავილობა“ უწუქებია და შვილისთვის დაურქმევია თურბე ზვიადი..

რა ტყვე ქმნილა, ჯაჭვი მადან რკინანი“ ასე ევედრებოდა ღმერთს ავთანდილი, გამოხატავდა რა ამით საკუთრივ რუსთაველის ტრაგედიას... („უდაბნოსა და უდაბნოს შორის“).

პირველ პრეზიდენტს გაზეთ „ივერია სპექტრი“ გაუეცნივარ, (მაშინ ამ გაზეთის წარმომადგენელი ვიყავი ოზურგეთში). არ ვიცი, როგორ, რანაირად, გროზნოში ჩაულწყვია გაზეთ „ალიონსაც“, რომელშიც იმ ხანად დაიბეჭდა ჩემი წერილები კონსტანტინეზე, გალაკტიონზე (საიუბილეო 100 წლისთავის გამო). კაცი, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ცველას და

ცველაფერს და ადვილად არ მოიწონებდა რამეს, გულში ჩაუკრავს ჩემი საგაზეთო სტატიები და უთქვამს:—თუ დავბრუნდები საქართველოში, აუცილებლად ჩამოვალ ოზურგეთში, რათა ახლოს გავეცნო ამ წერილების ავტორს, მე არ ვიცი, რას გავუკეთებ მას!.. მაინც რამ ალაფრთოვანა დიდოსტატის შვილი, თავად წერის და აზროვნების უბადლო ოსტატი, ალბათ იმან, რომ ვწერდი გულწრფელად და არ ვპირმოთინებდი მისი სახელის წინაშე...

არცერთ ქვეყანას არ ვუსურვებ, თუნდაც მტრულად განწყობილს, რაც ჩვენს ქვეყანაში 1991-92 წლებში მოხდა. მაშინ თეატრალური ინსტიტუტი დამთავრებული მქონდა, ვაგრძელებდი სწავლას ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. მინდოდა ჩემი თვლით მენახა ცველაფერი, რაც ხდებოდა და ხშირად ვიდებო მოვლენების შუაგულში. ძალიან ცუდად დამამსხვრდა ცნობილი ადამიანები. ველაფერი დიდ ოჯახურ კონფლიქტს უფრო გავდა, ვიდრე უკეთესი რეჟიმისთვის წამოწყვებულ აჯანყებას, მივიღეთ კიდევ შესავალის შედეგი —ბნელი და დაცემული ქვეყანა. თავად ჯაბა იოსელიანმა უწოდა ამ დღეებს—საქართველოს ცუდი სიმზარი!

ზვიად გამსახურდია ღმერთმა არავის მიაშვიდა, სრულიად ცალკე დააყენა და მასში ყველაფერი მიმზიდველი გახდა—მაღალი, სახიერი, გონიერი, ღრმად განათლებული, ულამაზესი ქართული მოლაპარაკე. სამწუხაროდ პრემიატულ ღრომი მოუწია ცხოვრება. მოხდა ისე, რომ დაავიანდა ამ ქვეყნად მოსვლა. მისი მარტვილო-

ბა და სწრაფვა უცხო და გაუგებარი ადმოჩნდა ცალკეული ადამიანებისათვის. ედმა ტრაგედიასთან ერთად ბევრი ტრიუმფიც არგუნა. მისი ყოველი ტრიუმფი ქართული სულის აღზევება იყო, ხოლო ყოველი ტრაგედია —სამშობლოს დაცემა, ამიტომ იდგა მისი სახელის დასაცავად თოვლში, წვიმაში, ქარში უშწურო ხალხი და მკერდი ხვდებოდა დაუნდობლად გამოსროლილ ტყვიებს...

თავი მოკლა თუ მოკლეს ზვიად გამსახურდია?! ...
—ეს პოპულისტური კითხვები უფროა და მის დადგენილ კამოწვეულ წუხილს ნაკლებად ჰგავს. მოწამლეს? აწამეს და მერე მოკლეს? გარდაცვალა? თავი მოკლა—ბურუსით მოცულ ცველა კითხვას აქვს ერთი ძალიან მარტივი, ნათელი, შეუქცევადი პასუხი—იგი მოკლეს!!!

უფრო კარგად გალაკტიონი იტყვის— „პოეტი რომ მოკლა, ამისთვის მხოლოდ ტყვიაა საჭირო...“
ასე იტყვიან: — რაც ემშაკმა სიბუღელოთი გაჭყო, ღმერთი სიყვარულით შეაერთებსო. დრო მიიტანს წართმეული ტერიტორიების დაბრუნებას. ქვეყანა ივლის წინ, წინ და წინ.
ბევრი რაღაც მოგვეწონება, ბევრიც კიდევ არა. ახალი მდგომარეობა გამოჩნდებოდა. მაგრამ ათწლეულები ისე მიეკეცება ერთმანეთს, ზვიად გამსახურდიას მსგავსი ელვარე, დაუმტხრალი სული საქართველოს არ ეყოლება...
ოლიგო პოპულარმა.

მდინარეებს ასუფთავებენ



ზამთრის პერიოდში დასუფთავების სამსახურის ინსპექტორები საწარმოებთან და მოსახლეობასთან მოსაკრებლებს ამოსალხებდნენ ხელშეკრულებებს აფორმებდნენ. ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობის ნაწილი ოჯახურ ნარჩენებს უმოწყალოდ ყრიდნენ მდინარეებში (სკუნა, ბაზრის

წყალი), ქუჩებში. ერთი თვეა დასუფთავების სამსახურის 5-კაციანი ბრიგადები ქალაქში გამავალ მდინარეებს ასუფთავებენ. გასულ წლებში გარემოს დაცვის ინსპექცია და გ.დ.ი-ის სამსახური შედარებით აკონტროლებდნენ დარღვევებს. ამჟამად გ.დ.ი-ის ინსპექცია ქ. ქუთაისში გადავიდა (შეიქმნა დასავლეთ საქართველოს სამსახური), ამიტომ კონტროლის მექანიზმებმა იკლო. ამ პრობლემის მოგვარების გამოსავალი, როგორც დასავლეთის ცივილურ ქვეყნებში, ისე აქაც საჯარიმო სანქციების შემოღებაშია—ფიქრობენ გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომლები.

უკანასკნელი ურემი სოფელში



ურემი რომ არ უოფილიყო, არ შეიქმნებოდა უშვებურეისი ჰანგი „ურბოლისა“, რომლითაც მთელი საქართველო ოდიოვნად ტკბებოდა და დღესაც ტკბება, მაგრამ დადგა დრო—ურემი აიკრძალა, აიკრძალა მისი გამწვევი ხარების არსებობა. მაღლობა ღმერთს, —სიძღვრა ისევ გვატკობს, მაგრამ ურემი, რომელმაც ასე გულსევიდან აამღერა მურხრე—გაქრა... გაქრა „ლაბა“ და „ნიკორა“, რომელიც პატრონიან ერთად ერთგულად ეწეოდა ჭაპანს.

ღვეილებოდა მისი მასაზრდოებელი ფესვი. ძნელი იყო ერთბაშად დათმობა ორღობეში ამავალი ურმის ჭრიალისა, დედის ნანასავით შესისხლხორცებული რომ ჰქონდა კოფოზე წამოსკუპებულ ბავშვსაც კი, ძნელი იყო უდროოდ გამეტება, საგვს მივარსავით ბრიალა თვალებით, რომ ერთგულეას უცხადებდა შორს, ათას ხიფათიან გზაზე, ქობულეთსა და ლეკანში მიმავალ პატრონს.

ეს დრო მაშინ დადგა, როცა სოფლად—კოლმურხეობაში ხმაური, „დგანდგართი“ შემოიჭრა მანქანატრატორები. რა თქმა უნდა ტექნიკის წინსვლას დღესაც ვერაფერ დაუდგება წინ, მაგრამ ხომ შეიძლება მის გვერდით არსებობის უფლება ჰქონდეს ჩვენს მამა-პაპათა თანამგზავრსა და ნაფერებ ურემს, უყვინარ „ლაბას“ და „ნიკორას“
ახალი ცხოვრების მშენებლები ასე არ ფიქრობდნენ: ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ყოველგვარ სიძველეს, „გადმონაშის“
—არ დავინახო არც ერთ ეზოში ურემი, არ იყოლით ხარები, თორემ!...ამ დროს კი გლეხისთვის ძნელი იყო კავისა და სახნისის უცებ ამოვარდნა მისი მასაზრდოებელი მიწიდან, ოხშივარ—ავარდნილი, ახალი ხნულიდან რომ შეივრძობდა მის სითბოსა და სილბოზს. სწორედ, ეს შევრძმება აკავშირებდა იმ მიწასთან, რომელმაც მისი ოფლი იყო ჩაღვრილი და

მაგრამ სოფელში იყვნენ ადამიანები, რომლებიც „ღმა დინებას“ მიჰყვებოდნენ: შოთა ურუმბე—ომამოვლილი, მშრომელი, შეუპოვარი, ტრადიციების დამცველი, სიძველეთა პატივისცემელი...
დომენტი სურგულაძე—„სიტყვავისიანი“, ერთგული, წარმოსადგვი, შრომისმოყვარე და ურმის საუკეთესო „მოხელე“, რომელსაც თავმჯდომარე ყოველდღე უთვლიდა, არ გაებედა ურმის გაკეთება, მაგრამ მან, შოთა ურუმბის თხოვნით, მაინც გააკეთა თავის „ნახელავთა“ შორის საუკეთესო, ალბათ უკანასკნელი ურემი გურიამში.
შოთამ ტყეში ველურად გაშვებული მოზრები, რომელიც პატრონმა დასაკლავად ვერ გაიმეტა, ჩამორეკა, გახელდა და ამ უკანასკნელი ურმის მძიმე უღელში შეაბა. სიცოცხლის ბოლომდე ტკბებოდნენ ურთიერთ ერთგულებით შოთა და ხარურემი, დომენტი და მისი ნახელავი.

საკითხავია, რა ამომრავებდა ამ ორს როცა იმ დროისათვის სარისკო საქმეს მოჰკიდეს ხელი— მართლაც „სიძველეთა“ პატივისცემა და უცებ არ დათმობა მამა-პაპათა ჩვეულებისა, თუ არსებული რეჟიმის და მისი კანონების უარყოფის ყინი—ანუ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რაც მათ თავისუფლებას ბორკილს ადებდა?—ალბათ ორივე ერთად.
—დღეს ეს ურემი აღარ არსებობს—სინაწულით ამბობს შოთას ვაჟი რუსლან ურუმბე—ვერ გადავჭყვი, მაგრამ შემომრჩა უღელი, როგორც რელიქტა უკანასკნელი ურმისა.“
ის უღელი ბატონმა რუსლანმა გადმომტა და იგი დღეს ჩემი საოჯახო ეთნოგრაფიული კუთხის ბინადარია.
სულიყო ლომჯვარია,
სოფ. ჭანიეთი.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დარეგულირებულია მხოლოდ ახალი კოდების მქონე მანქანები

საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დარეგულირებულია მხოლოდ ახალი კოდების მქონე მანქანები. კომისიის ინფორმაციით, ნუმერაციის ეროვნული გეგმის პროექტის ფარგლებში, თბილისის ახალი კოდი არსებული 22-ის ნაცვლად 32 იქნება, ბათუმის კოდი — 88222, 422-ით იცვლება, ქუთაისის კოდი — 231, 431-ით, რუსთავის კოდი — 24, 34-ით.

ლაანჩუთის — 494, ლავოდეხის — 354, მესტიის — 410, მცხეთის — 373, ოზურგეთის — 496, სამტრედიის — 411, საჩხერის — 435, სენაკის — 413, სიღნაღის — 355 და სხვა. რომელიმე კონკრეტულ ქალაქში დასარეგულირებლად გამოიხატებოდა აბონენტმა უნდა აკრიფოს პრეფიქსი 8, შემდეგ კონკრეტული ქალაქის აბონენტის ნომერი.

რაც შეეხება საქართველოს სხვა ქალაქებს, ზეტაფონის ახალი კოდი იქნება 492, გორის — 370, ზუგდიდის — 415, თელავის — 350, ჩოხატაურის — 419, კასპის — 371,

ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლა მარტივად დაიწყო. მარეგულირებელმა ორგანომ ცველა ოპერატორს აბონენტების ინფორმირება დაავალა. კომისიის დავალებით, სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა სერვის-ცენტრებსა და ვებგვერდებზე ცვლილებების შესახებ ინფორმაცია უნდა განათავსონ.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციის აცხადებს

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მაღლობას უხდის ყველა მდიანსაშუალეობას, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლებს, ყველა იმ პირს, რომელმაც მომხმარებელისად ჩაითვა და ახალი მხარისგამხმარებელი გახდება 21 მარტს, ქართული შურხანისტიკის დღის გამართულ გაზეთ „ალიონის“ საკრძოტისტო აქციისადმი, რომლის მიტინგში იყო: „შეფარდეს გაზეთ „ალიონს“ ვაფორლა“, „მოგვამდით საჯარო ინფორმაციას“

80 წლის გაზეთი „ალიონი“, ვაფორლის ნაპირისიერი ფორმის წინააღმდეგ, თავისი არსებობის გადასარჩენად მომავალშიც არ გამორიცხავს სხვადასხვა ფორმით არაპოლიტიკური აქციებს, რაშიც სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს.

* მკითხველს ვთხოვთ გამოვუხმეფი

გახსოვდეთ 1937!

კვირვასო მკითხველებო!

გაზეთი „ალიონი“ აბრძობებს 1937 წლის რეპრესიების ანსახველი წერილების გამოქვეყნებას. აღნიშნავს მუდამ უნდა ახსოვდეთ, თუ რას ნიშნავს დიქტატურა და რა შემთხვევა გალავნებამ მათ ჩააღვინოს. რეპრესიების სუსტი მართნიერად ხვედომდა სანაღვრან აღნიშნავს და რიგით მოქალაქეებს. სოფ. ზროვანში გამართული კრების შემდეგ სხვათაგან მართად კმები მოგვრეობაში შორებული ცივილიზაცია სანაღვრანო დროით გააფრს-სმს; ოფურგამთის თეატრის მთავარი რეჟისორს ბიორი როსეზას (როსეზაშვილი) აფინოვიჩის პირობის „გონის ბილიკის“ დადგინათის ჯერ ბათუმის რაიოების, შემდეგ ოფურგამეთი ჩვირბების რისკა დაატყდა თავს, მაგრამ გულე ბათუმისუფლეს და კვლავ ოფურგამთის თეატრში გააბრძოლა მუშაობა. ეს გამოჩინების შემთხვევა იყო, რადგან როსეზაშვილი „მოასწრო“ თავისი „ნაშრომის“ დაგდება. უარეს შემთხვევაში ჩვირბები ახლანდელი ბიორთა მომდის მიმდებარე შემოგის სარდაფში მართი გასროლით ათავარდნენ „სამეფს.“

ველით თქვენს გამოხატულებას!

კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე. გამოვაძლიეროთ ტროცკისტ-მენშევიკთა ნაბოლარების ქურდული და ყაჩაღური მაქინაციები და დაუნდობლად გავანადგუროთ მტრები!

ხალხის მოღალატეები

(ჩვენი საკუთარი კორმუნდენტისგან)

27 ივნისს საღამოს 5 საათზე შესდგა შრომის კოლმეურნეთა საზოგადო კრება, რომელსაც 750-მდე კოლმეურნი ესწრებოდა. თავმჯდომარე ამხ. აცნობს კრებას იმ მიღწევების შესახებ, რომელიც მოიპოვა კოლმეურნეობამ დაარსებიდან 6 წლის განმავლობაში. აცნობს სტახანოვილებს და იმ პატიოსან მშრომელებს, რომელიც კოლმეურნეობაში პატიოსანი შრომით განდენ შეძლებული, შეიძინეს პიანინოები, პატეფონები, ოჯახები მოაწვეეს კულტურულად და საბურად ცხოვრობენ (რემანოზ მყავანაძე, პლატონ კუბუხიძე, კირილე ჩხაიძე, ლადიკო ლომაძე და სხვ.) ამასთან ერთად მომხსენებელი ხაზს უსვამს იმას, რომ შრომის კოლმეურნეობაში ჯერ კისრე მოისუსტეს დისციპლინა, ჩაის ცალკე ნაკვეთებში ჩადის საქონელი (№ 1,4, 9 ბრიგადები) და რაც მთავარია, ადგილი აქვს კონტრევოლუციური ტროცკისტ მენშევიკთა ნაბილახების მავნებლურ საქმიანობას ზოგიერთ საკოლმეურნეო ბრიგადაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ჩვენი კოლმეურნეობის სამარცხვინო ჩამორჩენა ივლისის ჩაის კრების გეგმების შესრულებაში. წინააღმდეგ 31670 კილოგრამისა, მოიკრიფა 27300 კ. გრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც შეადგენს თეთრი გემის 86,2 პროც. საჭიროა თვითული კოლმეურნი, პატიოსანი მშრომელი ღრმად ჩაუკვირდეს ყოველ უბანს და მზის სინათლეზე გამოიტანოს მტრის მავნებელი საქმიანობა. კოლმეურნეობის №10 ბრიგადაში პირწავარდნილი ტროცკისტი, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი ვანო სირაძე ეწეოდა საბოტაჟს და დამარღვეველ მუშაობას, ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს და ზოგიერთ კოლმეურნეებს გულს უცრუებდა მუშაობაზე, ეს ბრიგადა მუდამ ჩამორჩენილი იყო, ადგილი ჰქონდა დეზერტირობას, დაბალი იყო შრომის დისციპლინა და სხვ. მას შემდეგ, რაც ამ მტრებს კოლმეურნეობაში ჩამოხადეს ნიდაბი და ღირსეული პასუხი გასცეს, ბრიგადამ თავი დააღწია ჩამორჩენას, ჩაის კრების მაისის გეგმა 137 პროცენტით შესრულდა და გარდამავალი დროსა მიიღო. მენშევიკების ნაბოლარებს, გადასახლებიდან დაბრუნებულებს, მძებს ვასილ და ისაკი მორგოშვიტს, 1924 წლის ავანტურის აქტიურ მონაწილეებს, არც ერთი შრომა დღე არ გამოუშუშავებიათ კოლმეურნეობაში. ისინი კოლმეურნეობის ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ. მენშევიკს და პროვოკატორს ივსისხი გაბედავას არევდარევა შექმნდა №12 ბრიგადაში, იგი ისე გათავხედდა, რომ პატიოსან კოლმეურნეებს ემუქრებოდა კიდევ „კარგად ნუ მუშაობთ“-ო. ყოფილი მენშევიკი ვასილ ჩხაიძე ავრცელებდა საზიზღარ პროვოკაციებს

რევოლუციური სიფხიზლისათვის

კონტრევოლუციონურ-ტროცკიზმის აგენტი საბჭოთა ლიტერატურაში ავერბახი და მისი თანამოაზრენი მთელი სისასტიკით და დაუნდობლობით იქნა მხილებული. ჯერ კიდევ ა.წლის 29 აპრილს „იზვესტიასში“ გამოქვეყნებული იქნა წერილი სათაურით „მოსკოველ დრამატურგთა კრებაზე.“ სადაც ნათქვამია: „კრებაზე გამოსული ამხანაგები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ავერბახი და მისი ჯგუფი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იყო ძირითადად გამტარებლად ტროცკისტულ დივერსიისა ლიტერატურაში.“

ხალხის მტერმა ავერბახმა დრამატურგთა შორის გაიჩინა თანამოაზრეები, ამ მხრივ კირიონი და ა. აფინოგენოვი მისი საიმედო დასაყრდენი შეიქმნა. „იზვესტიის“ ამავე წერილში ამხელენ მათ:

სხდომაზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ როგორ ფართოდ და მოფიქრებულად იყო განლაგებული ავერბახელი თანამოაზრეები ლიტერატურის სხვა და სხვა დარგში: აფინოგენოვი და ირმონი-დრამატურგიაში, შუშკანოვი „ისტორია ფაბრიკა იზავილოვ“-ის რედაქციაში, კარამელინოვი გახ. „დევ-პიატილეტკაში“ და ა.შ.

„იზვესტიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ეს წერილი ნათლად ლაპარაკობს იმის შესახებ, ავერბახელი აფინოგენოვის პიესის-„მგლის ბილიკის“ დადგმა არ შეიძლება. ეს კარგად იცოდა მახარაძის თეატრის რეჟისორმა ამხ. გ. როსეზამ, მაგრამ პიესა, მაინც მომზადდა დასადგმელად და თავი

მხოლოდ მაშინ დაანება, როცა ბათუმის რაი-ლიტმა აფიშის დაბეჭდვის ნება არ მისცა და საქ. ხელოვნების მთავარმა სამმართველომ კი გაშვების ბეგრი რომ არაფერი ეთქვათ, აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ გ. როსეზამ საკმაოდ დიდი შრომა გასჭია (ხარჯებს რომ თავი დაეანებოთ), პოლიტიკურად მიუღებელი პიესის „მგლის ბილიკი“ რომ გაეშვა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

ოთხი თვე გავიდა და ორი დადგმის მეტი არ უნახავს თეატრში მშრომელ მაყურებელს. შეეკითხებით მათ დადგმების სიმცირისა და მათი უხეირო მუშაობის შესახებ, იმავე წუთში მოგახლთან გ. ერისთავის მიკირტუმ გასპარჩის სიტყვებით: „სულ ფული და ფული, უფულოდ არაფერი გაკეთდა“, მაშინ როდესაც წელს საკმაო რაოდენობით არის გათავალიწინებული თანხები თეატრისათვის.

თეატრში არ ხდება ახალგაზრდა სცენის მოყვარულთა აღზრდა-დაწინაურება, ეს გვაძლევს უგემო და უხეირო მუშაობის შედეგებს.

ჩვენს თეატრს აკლია რევოლუციური სიფხიზლე, აკლია უნარი მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის, ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას, მახარაძის მუშათა თეატრის თავისი მოწოდების სიმაღლეზე უნდა დადგეს.

გაზეთი „ლენინის დროსა“, 29 მაისი, 1937 წ. №43.

მშრომელთა წერილები

ოპოზიციონერი ინჟინერების ბაკშვებას

კოლმეურნეობებზე მიწების მიზომების დროს ასკანის საკოლმეურნეო ფერმის ფართობზე მოჰყვა მთისპირელი ყაისარ ინჟინერების ფართობი. ინჟინერებს აქ გაკეთებული აქვს კარავი, ყავს ცხენი და ეწევა სპეკულაციას მაგარი სასმელებით.

რაიმეწავანის მეტხოველეობის ხელმძღვანელის ამხ. თ. კვაჭაძის მითითებით ყაისარ ინჟინერებს წინადადება მიეცა დაუყონებლივ ასახლებულიყო ამ ფართობიდან, მაგრამ ამაოდ. ყაისარი კვლავ განაგრძობს თავის ბნელ საქმეს, რათა ხელი შეუშალოს საკოლმეურნეო ფერმას მუშაობაში.

„ეს განაწილებაზე“

20 მაისს ზვანის სახვაჭრობის განყოფილების გამგემ გაბრიელ გობრონიძემ სახვაჭრობიდან მოსული საქონელი, თევზი და სხვა არ მისცა ყველა მომხმარებელს. როდესაც ამის შესახებ ვკითხეთ, განაცხადა: „ეს განაწილებაზე“-ო. თუ ეს მართალია, მაშინ საკითხავია, ვინ მისცა გობრონიძეს მიღებული საქონლის განაწილების უფლება?

დასაგმოგი საქციელი

სილაურის კოლმეურნეობის წვერი ირაკლი კილაძე ახადგურებს კოლმეურნეობის ქონებას. ამა წლის იანვარში ის მისი თხოვნის თანახმად, ინიშნება მესაქონლეობის ფერმის მწყმსად, მისი დაუღვერობით და უპასუხისმგებლობით ფერმაში მოკვდა 3-წლიანი ღვეკული. ეს თავის დროზე მხილებულ იქნა კვლის გახეთში, კილაძის დაუღვერობა დადასტურდა. ღვეკულის ღირებულება 700 მან. რაოდენობით მას უნდა გადაეხადა, მაგრამ დღემდის არ გადაუხდა. კილაძე მეტსაც სჩადის, ის უშვებს თავის საქონელს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციაში.

ასკანის სოფელსაჭომ და კოლმეურნეობამ შუამდგომლობა აღძრეს (№62, 17 თებერვალს) რაი-მიწვანის წინაშე, რომ სპეკულიანტი ინჟინერული დაუყონებლივ გაძევებულიყო კაპრუანის ასკანის ფართობიდან. წარმოდგინეთ, ამის შემდეგაც გათამაშებულმა ყაისარმა სიმინდი დთესა ამ ფართობზე და მაგრათ გრძნობს თავს, ის კვლავ განაგრძობს სპეკულაციას.

ასკანელი კოლმეურნეები მოითხოვენ ყ. ინჟინერების დაუყონებლივ გაძევებას კაპრუანთან.


აღსანიშნავია ისიც, რომ გაბრიელ გობრონიძე 1925 წლამდე და შემდეგაც ვაჭარი იყო. შეიძლება ის განზრახ ამანინჯებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

სიტყვა რაიკავშირის თავმჯდომარეს ეკუთვნის.

ი.დ-ლი.
გაზეთი „ლენინის დროსა“, 3 ივნისი, 1937 წ. №44

„ბასი, რომელიც დააკლდა ქალაქს“

(გურამ ბურჭულაძის ხსოვნას)



დამოკიდებულება ჰქონდა მას ხელოვნებასთან. საუკეთესო ენერგოინჟინერი ასევე საუკეთესო იყო ხალხური ხელოვნების ცოდნა-დაფასებაში. საზოგადოებამ არ იცოდა, თუ როგორ კარგ ლექსებს ჰქმნიდა გურამ ბურჭულაძე, რომლებიც მზის სინათლეზე გამოტანას ელოდებოდა.

ბატონი გურამი სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდა: ბუფეკისში, „სოფელტექნიკაში“, მექანიკურ ქარხანაში, იყო ოზურგეთის ელქსელის დირექტორი. ყველა ეს სამსახური ღამაზ მოგონებებთან არის დაკავშირებული. იგი გულის სითბოს თანაბრად უნაწილებდა სხვადასხვა თაობის დიდ სამგობროს.

1963 წელს ბატონი გურამ ბურჭულაძის უფროსი მეგობარი, ბუფეკისის დირექტორი, ცნობილი ხელოვანი გიორგი სალუქვაძე თანამოაზრეებთან ერთად საინგილოში გაემგზავრა. ეს ვიზიტი ინგილო ქართველებთან დაახლოებას, მათი ფოლკლორის შესწავლას ითვალისწინებდა. იმდენად დაუახლოვდნენ გურამს ინგილოელებს, რომ იმავე წლის შემოდგომაზე გიორგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულის ნინო ოქროვანაშვილის ქორწილში დააბატიყეს. თან სთხოვეს, გურიის კოლორიტებთან ერთად სწვეოდა მათ. საინგილოში გიორგი სალუქვაძე, პოეტ-

ბი ვანო სერელი (სალუქვაძე), მამა ცეცხლაძე და გურამ ბურჭულაძე გაემგზავრნენ.

ამ გამოსათხოვარ წერილში ძნელია ლექსურად აღწერო ის საოცარი სცენა, რომელიც გურამმა კოლორიტებმა აჩუქეს ინგილოებს. გურამ ბურჭულაძე საკუთარი ლექსით „საქართველოს ცა გვეხუროს“ მიესალმა ინგილოებს. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2010 წლის 25 სექტემბერს საქართველოს რადიოში გადაცემა „საუნჯეში“ გურამის მეგობარი, ცნობილი წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე ჰყავდათ მიწვეული. ერთსაათიან გადაცემაში ბ-მ სოკრატმა საინგილოში გურული კოლორიტების სტუმრობა გაიხსენა. გადაცემის წამყვანი მობილურით გურამ ბურჭულაძეს დაუკავშირდა და მანაც ისეთივე მგზნებარებით წაუკითხა ქართველ მსმენელს თითქმის ნახევარი საუკუნის წინ საინგილოში წარმოქმნილი პატრიოტული ლექსი. ეს იყო მისი ბოლო შეხვედრა დიდ აუდიტორიასთან...

ბატონი გურამი იყო ბრწყინვალე მუცლე, მამა, სიმამრი, შვილიშვილების ბაბუა. მას კაცურკაცობის არაერთი ეპითეტი შეიძლება მიესადაგოს.

ქალაქში აღარ დადის კაცი, რომლის დანახვა ყველა თაობის ადამიანს ახარებდა და კაცი, რომლის სიყვარული სამშობლო და წარსულის ფესვებს უკავშირდებოდა.

მეგობარი.

A ai p-i `saqar Tvel os momavl i s--i s
Mmomsaxurebi s paketi fi zi kuri
da i uri di ul i pi rebi saTvi s

1. ბუღალტერული აღრიცხვა, ყოველდღიური, წლიური დეკლარაციების შედგენა და ელექტრონული გადაგზავნა შესაბამის ორგანოში;
2. აუდიტი;
3. იურიდიული კონსულტაცია ყველა საკითხში;
4. სარეგისტრაციო წესდების მომზადება;
5. დახმარება მარკეტინგში;
6. ბიზნეს-გეგმის შედგენა;
7. ყოველთვიური გაზეთი „კანონმდებლობა“;
8. პარტნიორული კომპანიების ჩამოყალიბებაში წევრებს შორის ხელშეწყობა;
9. დასწრება ტრენინგ-სემინარზე.

წევრებისათვის მომსახურება უფასოა.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ. №37, (IV სართული).
ტელ: (851) 848 401; (890)601 300.

გიგლა ლომჯარიას მემორიალზე



ჭადრაკის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის გიგლა ლომჯარიას ხსოვნას აღნიშნული მემორიალი მეშვიდედ ტარდება და ტრადიციულ ხასიათს ატარებს. ტურნირში გურიის წამყვანი მოჭადრაკეები მონაწილეობენ. მათ შორის გურიის გასული წლების პრიზიორები ლანჩხუთლები ნუგზარ გვარჯალაძე, ტარიელ ხუხუნიანი, ჩოხატაურლები კარლო ცხომელიძე, საბა კიკნაძე.

შეჯიბრებაში 16 მონაწილე ჩაერთო, რომლებიც წრიული სისტემით გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს.

31 მარტს, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დაიწყო რეგიონული მნიშვნელობის საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ამგდარი საჭადრაკო მოღვაწის, სპორტის ოსტატობის კანდიდატის, გურიის

ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის გუნდი გურიის ჩემპიონია



სძლია (32:25); ფინალში ერთმანეთს ქ. ოზურგეთის №2 და №4 საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ. №2 სკოლის გუნდს აკლდა ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი ირაკლი სარიშვილი, მაგრამ მეორეს კოლექტებმა მაინც მოახერხეს

№4 საჯარო სკოლის ძლიერი გუნდის დამარცხება (41:32) და გურიის ჩემპიონები გახდნენ. გამარჯვებულ გუნდს კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გურამ ჩანტლაძემ გარდამავალი თასი გადასცა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს დათო არობელიძეს dvd პლეერი, საბა სურგულაძეს – მობილური ტელეფონი გადასცეს.

გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ: დათო არობელიძე, გიორგი ასათიანი, თემურ სალუქვაძე, ბაჩო ლომაძე, მამუკა დოლიძე, საბა სურგულაძე, შაკო მენაბდე.

გუნდი აზა მკვაანაძემ და დიტო ტულუშმა მოამზადეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატში კალათბურთში II გუნდი მონაწილეობდა. I ეტაპზე კარგად იასპარეხეს ქ. ოზურგეთის II და IV სკოლების გუნდებმა, სამ-სამი შეხვედრა მოიგეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათ შემოუერთდნენ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ანალოგიურ ტურნირებში გამარჯვებული გუნდები.

31 მარტს ოზურგეთის სპორტის სასახლეში ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის გუნდები შეხვედრენ ერთმანეთს. ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის გუნდმა ანგარიშით 30:11 სძლია ჩოხატაურულ თანატოლებს, ხოლო №4 სკოლის გუნდმა ლანჩხუთელ თანატოლებს

„მერცხალმა“ ძნელ მაგჩში მოიპოვა ქულა

ნუგზარ ოთარიშვილი

მორიგ კალენდარულ მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“ გათამაშების ლიდერს მარტვილის „მერანს“ შეხვდა. „მერანს“ „გაგარასთან“ ერთად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და ოზურგეთში 3 ქულის ასაღებად იყო ჩამოსული. „მერცხალის“ ამოცანა კი I ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და ამისთვის დიდი ბრძოლა მოუწევს.

ამ შეხვედრაში მარტვილის „მერანს“ არ ჰგავდა იმ კლასის გუნდს, რომელსაც დღიურად მარტო კვებაზე და სხვა მომსახურებაზე 5 ათას ლარს ახარავდნენ, ხოლო გასაუთუბელი „მერცხალი“ იმით იყო დაკავებული, ბურთი რაც შეიძლება შორს გადაეგდო და შეეჩერებინა „მრისხანე“ მეტოქის შუტეები. ოზურგეთელებმა კარგად შეასრულეს დასახული ამოცანა, ხოლო სტუმრებმა ვეაჩვენეს, რომ არც ლიდერები ბრწყინავენ, და მარტო ფინანსები როდია ფეხბურთი.

თუკი „მერცხალის“ შემადგენლობაში ვეტერანი

გოლიკი პერი ვია გოგუა გამოირჩეოდა, რომლის კარგმა თამაშმა მოაპოვებინა მის გუნდს ესოდენ საჭირო ქულა, სტუმართა გუნდში ორ ზანდ ფეხბურთელს ვოული იატრონს და მაგვინი ტაპეს „გამოარჩევდით.“ ისინი არაფრით არ იყვნენ ამ გუნდის ქართველ ფეხბურთელებზე უკეთესნი და „მერანის“ შეერთებლმა მალხაზ ჟვანიამ მეორე ტაიმში ორთავე ადგილობრივი ფეხბურთელებით ჩაანაცვლა.

ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს. შეხვედრის მიმდინარეობისას იყო ფეხბურთელთა ტრავმები, რაც ბუნებრივია მატჩის შეჩერებას იწვევდა, მსაჯმა მატჩის ბოლოს 5 წუთი დაამატა. თბილისელი მსაჯი ოთარ ხეცაძე იმდენად უჭერდა შინაგანად მხარს „მერანის“ ფეხბურთელებს, მატჩის დამთავრების მაუწყებელი სასტვენე შეხვედრის დაწყებიდან მე-100 წუთზე გაისმა.

ბახველი რუსლან ბედოევი საქართველოს ნაკრებში

რამდენიმე წელია გვესმის ბახველი ფეხბურთელების წარმატებების შესახებ, რომელსაც გოჩა კრასოტკინი ხელმძღვანელობს. ბახველთა გუნდის წევრი, რუსლან ბედოევი საქართველოს 14-წლიანთა ნაკრებში ჩარიცხეს.

გოჩა კრასოტკინი – რუსლან ბედოევი ბახვის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა. მას 5 წლის ასაკიდან ვაგარჯიშებ. იგი ოზურგეთის სასპორტო სკოლის ბახვის ფეხბურთელთა გუნდის წევრია. მისი მონაწილეობით ბახვის გუნდი აჭარა-გურიის ჩემპიონატში II ადგილზე გამოვიდა. ბახველებმა გაიმარჯვეს ქ. თბილისში „ნორჩ დინამოელთა“ და შემდეგ ქ. ბაქოში „მომავლის ვარსკლავების“ ტურნირებზე. რუსლანს გუნდის წარმატებებში დიდი



წვლილი მიუძღვის. ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სასკოლო ასაკის ფეხბურთელების ტესტირება ჩაატარა. რუსლანი საქართველოს 14-წლიანთა ნაკრებში აიყვანეს. ამ გუნდმა მონაწილეობა მიიღო ქ.

რიგაში „რიგა ქავის“ ტურნირში, სადაც 16 ქვეყნის გუნდი გამოიღოდა. საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რიგის „სკონტო“, პოლანდიის „უკრაინის ორი გუნდი და ფინალში პოლანდიის „ვიტეს“ შეხვდა. ქართველმა ფეხბურთელებმა პოლანდიელი თანატოლები 3:1 დაამარცხეს და „რიგა ქავის“ თასს დაეუფლა. რუსლანი ამ გუნდის კაპიტანია.

ახლა რუსლანს პერიოდულად იბახებენ ნაკრებში და გადის წვრთნას. ამჟამად საქართველოს 14-წლიანთა ნაკრები შედგებში სართამორისო ტურნირზე წასასვლელად ემზადება. ეს ტურნირი აპრილის ბოლოს გაიმართება.

რუსლანის გზა დიდი ფეხბურთისაკენ მიემართება.